შენიშვნა: საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 2023 წლის 01 მარტის გადაწყვეტილებით უცვლელი დარჩა ეთიკის კომისიის 2022 წლის 22 ოქტომბრის გადაწყვეტილება დისციპლინურ საქმეზე N076/21 (საქმე Nსსდ-01-23)

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სახელით

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე

ეთიკის კომისიის შემადგენლობა:

კომისიის თავმჯდომარე - კონსტანტინე გელაშვილი

კომისიის წევრები: ეკატერინე გეწაძე, ეკატერინე მაჭარაშვილი, მარიკა არევაძე, მარინე ცუცქირიძე, ინგა ნებიერიძე, ანა კოტეტიშვილი, ოთარ კაჭკაჭაშვილი, ანა ხურციძე, ინგა ბერიძე, ანა ლორია, ბესიკ ქარცივაძე, ნათია ჩიტაშვილი.

საჩივრის ავტორი - ლალი ბოცვაძე

წარმომადგენელი - მანუჩარ ჭუმბურიძე

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი - 01.11.2021

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი - №076/21

საჩივარი შემოტანილია - ადვოკატ ნანა მაისურაძის /სიითი №2808/ მიმართ

საჩივრის მოთხოვნა - ადვოკატ ნანა მაისურაძისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2021 წლის 01 ნოემბერს, ადვოკატ ნანა მაისურაძის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების მოთხოვნით ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ლალი ბოცვაძემ.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი ნანა მაისურაძე საადვოკატო მომსახურებას უწევდა 2018 წლიდან, სამოქალაქო დავაში, რუსთავის რაიონულ სასამართლოში. დავა ეხებოდა მოვალე ელენე კორაშვილისათვის თანხის დაკისრებას. მხარეთა შეთანხმებით, საადვოკატო მომსახურების საფასურად განისაზღვრა $500 აშშ დოლარი, რაც კლიენტმა ადვოკატს სრულად

გადაუხადა. მხარეთა შორის, 2018 წლის 28 მარტს, წერილობით გაფორმებული იურიდიული მომსახურების შესახებ ხელშეკრულებით, ადვოკატისთვის წარმატების ჰონორარის გადახდა გათვალისწინებული არ ყოფილა.

1.3 აღნიშნულ საქმეზე, ადვოკატ ნანა მაისურაძის ჩართულობით, 2021 წლის 28 მაისს მხარეები მორიგდნენ რუსთავის საქალაქო სასამართლოში და სასამართლომ მიიღო განჩინება (საქმე N2-1415-19) მხარეთა მორიგების გამო საქმის წარმოების შეწყვეტის თაობაზე. განჩინებით, ელენე კორაშვილს ლალი ბოცვაძის სასარგებლოდ დაეკისრა $21.000 აშშ დოლარის გადახდა. მოვალეს თანხა ნაწილ-ნაწილ უნდა ჩაერიცხა ადვოკატ ნანა მაისურაძის საბანკო ანგარიშზე ლალი ბოცვაძისათვის გადასაცემად შემდეგი პირობებით: $4.000 აშშ დოლარი -არაუგვიანეს 2021 წლის 28 ივნისისა, ხოლო დანარჩენი $17.000 აშშ დოლარი - არაუგვიანეს 2021 წლის 28 სექტემბრისა. საჩივრის ავტორის განმარტებით, ნანა მაისურაძემ მორიგების აქტში კლიენტის საბანკო ანგარიშის ნაცვლად, მიუთითა საკუთარი საბანკო ანგარიში, ისე რომ აღნიშნული პირობა კლიენტისთვის არ შეუთანხმებია.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, მოვალე ელენე კორაშვილმა დაარღვია მორიგების პირობები, რის შემდეგაც ადვოკატმა ნანა მაისურაძემ აღსრულების ეროვნულ ბიუროში წარადგინა სააღსრულებო ფურცელი და დააზუსტა მოთხოვნა. კერძოდ, მოპასუხე ადვოკატმა აღსრულების ეროვნულ ბიუროში წარდგენილ განცხადებაში მიუთითა, რომ მოვალეს უკვე გადახდილი ჰქონდა $4.000 აშშ დოლარი და კრედიტორის მოთხოვნა, ნაცვლად $21.000 აშშ დოლარისა, შეადგენდა $17.000 აშშ დოლარს. საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატმა ნანა მაისურაძემ, მისი ინფორმირებისა და თანხმობის გარეშე, ელენე კორაშვილისაგან მიიღო $4.000 აშშ დოლარი, რაც არ დაუბრუნა კლიენტს და მოგვიანებით განუმარტა, რომ დასახელებული თანხა წარმოადგენდა ადვოკატის წარმატების ჰონორარს, რაზეც მხარეები არც წერილობით და არც ზეპირად არ შეთანხმებულან.

1.5 საჩივრის ავტორის განმარტებით, ლალი ბოცვაძე ინფორმირებული არ იყო ადვოკატ ნანა მაისურაძის სპეციალიზაციაზე.

1.6 საჩივრის ავტორის წარმომადგენელმა მანუჩარ ჭუმბურიძემ 2022 წლის 20 ოქტომბრის ეთიკის კომისიის სხდომაზე განმარტა, რომ ადვოკატმა ნანა მაისურაძემ და ლალი ბოცვაძემ სცადეს მორიგება, თუმცა უშედეგოდ - ადვოკატს მოვალისაგან მიღებული $4.000 აშშ დოლარი კლიენტისათვის არ დაუბრუნებია.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა ნანა მაისურაძემ ეთიკის კომისიაში წერილობითი ახსნა-განმარტება წარმოადგინა 2021 წლის 25 ნოემბერს და განმარტა, რომ საჩივარი არის უსაფუძვლო, დაუსაბუთებელი და არ უნდა დაკმაყოფილდეს. ადვოკატი დაესწრო 2022 წლის 08 თებერვლის საპროცესო კოლეგიის სხდომასა და 2022 წლის 20 ოქტომბრის ეთიკის კომისიის სხდომას, სადაც წარმოადგინა ზეპირი ახსნა-განმარტება საჩივართან დაკავშირებით.

2.2 ადვოკატის განმარტებით, ლალი ბოცვაძეს საადვოკატო მომსახურებას უწევდა სამოქალაქო საქმეზე, პირველი ინსტანციის სასამართლოში. ადვოკატის განცხადებით, სანამ მხარეებს შორის დაიწყებოდა ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა, ლალი ბოცვაძემ მიმართა რუსთავის რაიონულ

სასამართლოს და განახორციელა გარკვეული საპროცესო მოქმედებები. ლალი ბოცვაძეს სასარჩელო მოთხოვნა არასწორად ჰქონდა დაყენებული. კერძოდ, ითხოვდა მხოლოდ ძირი თანხის - $7.000 აშშ დოლარის მიღებას და არ ითვალისწინებდა პირგასამტეხლოსა და სარგებელს. ადვოკატის განცხადებით, მისი კონსულტაციის შემდეგ, შეცვალეს სასარჩელო მოთხოვნა და სასამართლოს მიმართეს $21.000 აშშ დოლარის მიღების მოთხოვნით. ადვოკატი ნანა მაისურაძე სამი წლის განმავლობაში უძღვებოდა საქმეს, მისი ჩართულობის შედეგად, მხარეები მორიგდნენ და სასამართლო გადაწყვეტილებით, მოვალეს დაეკისრა კრედიტორისათვის $21.000 აშშ დოლარის გადახდა.

2.3 ადვოკატის განმარტებით, მხარეთა შეთანხმებით, თავდაპირველად, საადვოკატო მომსახურების საფასურად განისაზღვრა $500 აშშ დოლარი, რაც კლიენტმა სრულად გადაუხადა ადვოკატს. ადვოკატის განცხადებით, საქმის მასალების გაცნობის შემდეგ, კლიენტს ზეპირად შეუთანხმდა წარმატების ჰონორარზე, რაც შეადგენდა სრული თანხის - $21.000 აშშ დოლარის 20 პროცენტს.

2.4 ადვოკატის განმარტებით, ლალი ბოცვაძემ არ აცნობა, რომ მოვალემ დაუბრუნა მას $1.000 აშშ დოლარი. შესაბამისად, საჩივრის ავტორს მიღებული აქვს იმაზე მეტი თანხა, ვიდრე ეს სასამართლო გადაწყვეტილებით განისაზღვრა. ადვოკატის განმარტებით, მოვალე ელენე კორაშვილს $1.000 აშშ დოლარი თავად დაუბრუნა, რის გამოც მას კლიენტისაგან წარმატების ჰონორარი სრულად არ მიუღია.

2.5 ადვოკატმა ნანა მაისურაძემ 2022 წლის 20 ოქტომბრის ეთიკის კომისიის სხდომაზე განმარტა, რომ შეცდომა დაუშვა, როცა ლალი ბოცვაძესთან არ გააფორმა წერილობითი ხელშეკრულება წარმატების ჰონორარზე, რაც განპირობებული იყო იმ ფაქტით, რომ მასსა და საჩივრის ავტორს შორის ახლო მეგობრული ურთიერთობა ჩამოყალიბდა. ადვოკატმა აღნიშნა, რომ მის მიერ განხორციელებული ყველა სამართლებრივი მოქმედება ითვალისწინებდა კლიენტის საუკეთესო ინტერესების დაცვას და სრულად შეესაბამებოდა 2018 წლის 28 მარტის წერილობითი და მოგვიანებით, ზეპირი ფორმით დადებული შეთანხმებებით განსაზღვრულ პირობებს. ადვოკატმა ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ მორიგების აქტში ნამდვილად მიუთითა საკუთარი საბანკო ანგარიში, თუმცა ეს განპირობებული იყო იმით, რომ კლიენტი ხშირად არ პასუხობდა მის სატელეფონო ზარებს და ვერ შეძლო მასთან დაკავშირება. ამასთან, კლიენტს პრეტენზია არ გამოუთქვამს მის მიერ განხორციელებულ სამართლებრივ მოქმედებებზე და კმაყოფილებას გამოთქვამდა საქმის მიმდინარეობასა და შედეგებზე.

2.6 ადვოკატმა ნანა მაისურაძე 2022 წლის 20 ოქტომბრის ეთიკის კომისიის სხდომაზე განმარტა, რომ არასწორია კლიენტის მითითება იმ ფაქტზე, რომ ადვოკატმა კლიენტს არ მიაწოდა ინფორმაცია სპეციალიზაციაზე. ლალი ბოცვაძემ თავიდანვე იცოდა ადვოკატის სპეციალიზაცია და სურდა მისი ინტერესები დაეცვა ადვოკატ ნანა მაისურაძეს.

2.7 ადვოკატმა ნანა მაისურაძემ 2022 წლის 20 ოქტომბრის ეთიკის კომისიის სხდომაზე სინანული გამოთქვა, რომ ლალი ბოცვაძესთან არ გააფორმა მეორე ხელშეკრულება წარმატების ჰონორარზე და არ გამოიჩინა მეტი სიფრთხილე კლიენტთან კომუნიკაციისას, რასაც აუცილებლად გამოასწორებს მომავალში.

2.8 ადვოკატმა ნანა მაისურაძემ 2022 წლის 20 ოქტომბრის ეთიკის კომისიის სხდომაზე განმარტა, რომ ის სამი წლის განმავლობაში კეთილსინდისიერად უწევდა მომსახურებას კლიენტს და ასრულებდა ყველა მის მითითებას. მიუხედავად ამისა, ის მაინც მზად იყო მორიგებოდა ლალი ბოცვაძეს და დაებრუნებინა მისთვის წარმატების ჰონორარი, თუმცა ლალი ბოცვაძემ და მისმა წარმომადგენელმა უარი განაცხადეს ადვოკატთან მორიგებაზე.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

3.1 2022 წლის 16 თებერვალს საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ნანა მაისურაძის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

3.2 საპროცესო კოლეგიამ დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით დაადგინა, რომ ადვოკატმა ნანა მაისურაძემ არ აცნობა კლიენტს სპეციალიზაცია და ინფორმირების გარეშე გაუწია მომსახურება სამოქალაქო საქმეზე; ადვოკატმა არ მიაწოდა კლიენტს ინფორმაცია წარმატების ჰონორარზე (ჰონორარის ოდენობაზე) და მისი მიღების წესზე და არ დაუბრუნა კლიენტს $4.000 აშშ დოლარი. საპროცესო კოლეგიის შეფასებით, ადვოკატ ნანა მაისურაძის მიერ, დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით დაღვეულია ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 5.ა; 6.2 და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.5; 8.6; 8.8 და 8.15 მუხლები.

4. განხილვის კოლეგიის პოზიცია:

4.1 ეთიკის კომისიის მეხუთე დისციპლინური კოლეგიის 2022 წლის 25 მაისის გადაწყვეტილებით, ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 36-ე მუხლის საფუძველზე, საქმე განსახილველად გადაეცა ეთიკის კომისიის სრულ შემადგენლობას. განხილვის კოლეგიამ, საქმეში არსებულ მტკიცებულებათა გამოკვლევის შედეგად მიიჩნია, რომ დისციპლინური დევნის აღძვრის შესახებ გადაწყვეტილებაში მითითებული გადაცდომები, თავისი შინაარსით იმდენად მძიმეა, რომ ადვოკატის მხრიდან ამ გადაცდომების სარწმუნო მტკიცების სტანდარტით დადასტურების შემთხვევაში, ადვოკატის მიმართ, სახდელის სახით შესაძლოა გამოყენებულიყო გაფრთხილებაზე მეტი - განსაზღვრული ვადით საადვოკატო საქმიანობის უფლების ჩამორთმევა ან ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტა.

II სამოტივაციო ნაწილი

4.1. **საქმის ფაქტები:**

ეთიკის კომისიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტები:

4.1.1 ადვოკატ ნანა მაისურაძესა და ლალი ბოცვაძეს შორის ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა დაიწყო 2018 წლის 28 მარტს. ადვოკატ ნანა მაისურაძეს ლალი ბოცვაძისთვის საადვოკატო მომსახურება უნდა გაეწია სამოქალაქო დავის საქმეზე, რუსთავის რაიონულ სასამართლოში, სადაც მოდავე მხარეებს წარმოადგენდნენ ლალი ბოცვაძე და ელენე კორაშვილი.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- მხარეთა ახსნა-განმარტება;

- წლის 28 მარტის იურიდიული მომსახურების შესახებ N023 ხელშეკრულება.

4.1.2 ადვოკატ ნანა მაისურაძეს აქვს სისხლის სამართლის სპეციალიზაცია.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- ადვოკატის ახსნა-განმარტება;
- ადვოკატთა ასოციაციის ერთიან რეესტრში მითითებული მონაცემები (სიითი N2808).

4.1.3 მხარეთა შეთანხმებით, საადვოკატო მომსახურების საფასურს წარმოადგენდა $500 აშშ დოლარი.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- მხარეთა ახსნა-განმარტება;
- წლის 28 მარტის იურიდიული მომსახურების შესახებ N023 ხელშეკრულება.

4.1.4 2021 წლის 28 მაისს, ადვოკატის ჩართულობით, რუსთავის საქალაქო სასამართლოში ლალი ბოცვაძესა და ელენე კორაშვილს შორის შედგა მორიგება და მოვალეს ლალი ბოცვაძის სასარგებლოდ დაეკისრა $21.000 აშშ დოლარის გადახდა. მოვალეს თანხა, ლალი ბოცვაძისათვის გადასაცემად, უნდა ჩაერიცხა ადვოკატ ნანა მაისურაძის საბანკო ანგარიშზე: პირველ ეტაპზე, არაუგვიანეს 28.06.21 წლისა - $4.000 აშშ დოლარის ოდენობით, ხოლო მეორე ეტაპზე, არაუგვიანეს 28.09.21 წლისა - 17.000 აშშ დოლარის ოდენობით. მორიგების აქტს ხელი მოაწერეს მხარეთა წარმომადგენლებმა. მორიგების პირობების მიხედვით, $4.000 აშშ დოლარის მოპასუხის მიერ ანაზღაურებისთანავე მოიხსნებოდა აკრძალვა სარჩელის უზრუნველყოფის საგანზე (მოპასუხის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება).

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- მხარეთა ახსნა-განმარტება;
- 2021 წლის 28 მაისის მორიგების აქტი;
- 2021 წლის 28 მაისის რუსთავის საქალაქო სასამართლოს განჩინება მხარეთა მორიგების გამო საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ (საქმე N2-1415-19).

4.1.5 ადვოკატმა ნანა მაისურაძემ 2021 წლის 07 ოქტომბერს სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიუროში“ წარადგინა სააღსრულებო ფურცელი. აღსრულების ეროვნული ბიუროს მიღების ბარათზე მითითებულია შემდეგი ინფორმაცია: „მოვალეს გადახდილი აქვს $4.000 აშშ დოლარი და დღეის მდგომარეობით, კრედიტორის მოთხოვნა მოვალის მიმართ შეადგენს $17.000 აშშ დოლარს“. დოკუმენტი ხელმოწერილია ადვოკატ ნანა მაისურაძის მიერ.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

- სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიუროს“ 2021 წლის 07 ოქტომბრის განცხადების მიღების ბარათი.

4.1.6 ადვოკატმა ნანა მაისურაძემ, ლალი ბოცვაძისათვის გადასაცემად, მოვალე ელენე კორაშვილისაგან მიიღო $4.000 აშშ დოლარი, რაც არ გადაუცია კლიენტისათვის.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- მხარეთა ახსნა-განმარტება;
- საჩივრის ავტორის ძმასთან ადვოკატის 2021 წლის 4 ნოემბრის მიმოწერა.

4.1.7 ადვოკატი ნანა მაისურაძე ლალი ბოცვაძეს საადვოკატო მომსახურებას უწევდა სამი წლის განმავლობაში. ადვოკატის ჩართულობით, ლალი ბოცვაძემ მიიღო $17.000 აშშ დოლარი.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- მხარეთა ახსნა-განმარტება;
- 2018 წლის 28 მარტის იურიდიული მომსახურების შესახებ N023 ხელშეკრულება;
- სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიუროს“ 2021 წლის 07 ოქტომბრის განცხადების მიღების ბარათი;
- საჩივრის ავტორის ძმასთან ადვოკატის 2021 წლის 15 ივლისის მიმოწერა.

4.2 განხილვის კოლეგიის მიერ დადგენილი სადავო ფაქტები:

4.2.1 მიაწოდა თუ არა ადვოკატმა ნანა მაისურაძემ კლიენტს ინფორმაცია მისი სისხლის სამართლის სპეციალიზაციის შესახებ და დათანხმდა თუ არა კლიენტი მისთვის საადვოკატო მომსახურება გაეწია სამოქალაქო სამართალში არასპეციალიზებულ ადვოკატს.

საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატ ნანა მაისურაძეს კლიენტისათვის არ მიუწოდებია ინფორმაცია მისი სპეციალიზაცია და ადვოკატი საადვოკატო მომსახურებას ახორციელებდა კლიენტის ინფორმირებული თანხმობის გარეშე, რაც სრულად უარყო მოპასუხე ადვოკატმა. ეთიკის კომისიამ გაიზიარა საჩივრის ავტორის წარმომადგენლის განმარტება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, შემდეგ გარემოებათა გამო:

(ა) ეთიკის კომისიის შეფასებით, სპეციალიზაციის შესახებ კლიენტის ინფორმირების მტკიცების ტვირთი აკისრია ადვოკატს. ეთიკის კომისიის შეფასებით, ყველა მხარემ უნდა ამტკიცოს ის გარემოება, რომლის დამტკიცებაც მისი შესაძლებლობების ფარგლებს არ სცდება. მხარეს არ შეიძლება დაეკისროს უარყოფის მტკიცების ტვირთი, რაც, ობიექტურად, მისთვის შეუძლებელია. „მტკიცების ტვირთის სამართლიანი და ობიექტური განაწილების სტანდარტის მიხედვით, მტკიცების ტვირთი ეკისრება მას, ვინც ამტკიცებს და არა მას, ვინც უარყოფს“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 27.06.2016 წლის გადაწყვეტილება, საქმე #ას-1294-1214-2015). „კლიენტისათვის საქმეზე სრული და სწორი ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების მტკიცების ტვირთი აკისრია ადვოკატს, რომელიც ამტკიცებს, რომ კლიენტს მიაწოდა ინფორმაცია და არა კლიენტს, რომელიც უარყოფს ადვოკატისაგან ინფორმაციის მიღების ფაქტს“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის, შემდეგში - „ეთიკის კომისიის“, 20. 09. 2022 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე *N* 066/20, 4.2.1). ნანა მაისურაძეს ეთიკის კომისიაში არ წარმოუდგენია სარწმუნო მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა, რომ კლიენტი ინფორმირებული იყო ადვოკატის სპეციალიზაციის შესახებ და თანხმობას აცხადებდა მისი ინტერესები დაეცვა სამოქალაქო სამართალში არასპეციალიზებულ ადვოკატს.

(ბ) 2018 წლის 28 მარტის იურიდიული მომსახურების შესახებ ხელშეკრულებაში ადვოკატმა ნანა მაისურაძემ მიუთითა ადვოკატის სიითი ნომერი. ხელშეკრულება ითვალისწინებდა ადვოკატის

მომსახურებას სამოქალაქო და არა სისხლის სამართლის საქმეზე. ეთიკის კომისიის შეფასებით, სისხლის სამართლის სპეციალიზაციის მქონე ადვოკატის მიერ, სამოქალაქო საქმის საწარმოებლად საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებაში სიითი ნომრის მითითება წარმოადგენს დარღვევას, ვინაიდან სამოქალაქო საქმეების წარმოების ფარგლებში ნანა მაისურაძე არ წარმოადგენს ადვოკატს, მას მხოლოდ სისხლის სამართლის სპეციალიზაცია აქვს მინიჭებული საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ. ხელშეკრულებაში სიითი ნომრის მითითებით ნანა მაისურაძე სახელშეკრულებო ურთიერთობაში მონაწილეობდა, როგორც „ადვოკატი" და არა როგორც წარმომადგენელი. ეთიკის კომისია ითვალისწინებს ერთგვაროვან პრაქტიკას, რომლის მიხედვითაც, „.....ადვოკატმა, რომელსაც აქვს სისხლის სამართლის სპეციალიზაცია, კლიენტთან დადოს იურიდიული მომსახურების შესახებ ხელშეკრულება, სადაც არ იქნება მითითებული მისი სიითი ნომერი და არ იქნება იგი წარმოდგენილი ადვოკატის სტატუსით, რადგან სამოქალაქო ან ადმინისტრაციული საქმეებისთვის იგი არ წარმოადგენს ადვოკატს სისხლის სამართლის სპეციალიზაციის გამო. მტკიცების ტვირთი, რომ ადვოკატმა კლიენტს თავიდანვე მიაწოდა ინფორმაცია სპეციალიზაციისა და აქედან გამომდინარე უფლებამოსილებაზე, არის ადვოკატზე. ისეთ დროს, როცა დისციპლინურ საქმეში არსებობს ხელშეკრულება საადვოკატო მომსახურების შესახებ ან სამართლებრივი დოკუმენტები, სადაც ადვოკატი პირდაპირ უთითებს სტატუსს ადვოკატის სახით და სიით ნომერს, კომისიას ექმნება გონივრული ვარაუდი იმისა, რომ მას კლიენტი ინფორმირებული არ ჰყავდა თავისი უფლებამოსილების თაობაზე" (ეთიკის კომისიის 04.03.2019 წლის სხდომის ოქმი N04/19).

შესაბამისად, რადგან ადვოკატს არ წარმოუდგენია სარწმუნო მტკიცებულება, რომელიც კომისიას დაარწმუნებდა ადვოკატის მხრიდან, სპეციალიზაციის თაობაზე, კლიენტის ინფორმირების ფაქტს; ამასთან, დისციპლინური საქმეში წარმოდგენილია საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებას, სადაც მითითებულია ადვოკატის სიითი ნომერი, ეთიკის კომისიამ დაადგინა, რომ ადვოკატ ნანა მაისურაძეს კლიენტისათვის ინფორმაცია არ მიუწოდებია მისი სპეციალიზაციის თაობაზე.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- საჩივრის ავტორის ახსნა-განმარტება;
- წლის 28 მარტის იურიდიული მომსახურების შესახებ N023 ხელშეკრულება (მუხლი 1).

4.2.2 შეუთანხმა თუ არა ადვოკატმა ნანა მაისურაძემ კლიენტს წარმატების ჰონორარის ოდენობა და მიღების წესი.

ეთიკის კომისიაში საქმის წარმოებისას, მხარეებმა წარმოადგინეს ურთიერთსაპირისპირო ახსნა-განმარტებები წარმატების ჰონორართან დაკავშირებით. კერძოდ, ადვოკატ ნანა მაისურაძის განმარტებით, ის კლიენტს, ზეპირი ფორმით, დამატებით შეუთანხმდა წარმატების ჰონორარზე, ჰონორარის ოდენობასა და მიღების წესზე, რაც უარყო საჩივრის ავტორმა. ეთიკის კომისიის შეფასებით, ჰონორარის ოდენობისა და მისი გაანგარიშების წესის შესახებ კლიენტის ინფორმირებაზე მტკიცების ტვირთი აკისრია ადვოკატს. ადვოკატ ნანა მაისურაძეს გარდა ახსნა-განმარტებისა, ეთიკის კომისიაში არ წარმოუდგენია რაიმე მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა, რომ კლიენტს, წერილობით ხელშეკრულებაში მითითებული ფიქსირებული

ჰონორარის - $500 აშშ დოლარის მიღმა, დამატებით ნამდვილად შეუთანხმდა წარმატების ჰონორარზე (ამოღებული თანხის 20%-ზე) და მის მიერ მოვალისაგან მიღებული თანხა, კლიენტთან შეთანხმების შესაბამისად, წარმოადგენდა ადვოკატის ანაზღაურებას. თავის მხრივ, საჩივრის ავტორმა ეთიკის კომისიაში წარმოადგინა ადვოკატ ნანა მაისურაძესა და ლალი ბოცვაძეს შორის 2018 წელს გაფორმებული იურიდიული მომსახურების შესახებ ხელშეკრულება, სადაც ადვოკატის ჰონორარი ადვოკატმა განისაზღვრა $500 აშშ დოლარის ოდენობით, რაც კლიენტმა გადაუხადა ადვოკატს (ხელშეკრულების 4.1 მუხლი). ხელშეკრულება არ ითვალისწინებს პირობას წარმატების ჰონორარზე და ხელმოწერილია როგორც ლალი ბოცვაძის, ისე ადვოკატ ნანა მაისურაძის მიერ. მხარეებს შორის სხვა წერილობითი შეთანხმება არ გაფორმებულა. ასევე, დისციპლინურ საქმეში წარმოდგენილია სასამართლოს მიერ დამტკიცებული მორიგების აქტი, სადაც მითითებულია, რომ მოვალის მიერ კრედიტორის ადვოკატის პირად ანგარიშზე მოხდებოდა $4.000 აშშ დოლარის ჩარიცხვა - „ლალი ბოცვაძისათვის გადასაცემად“.

„კონკრეტული ნორმით გათვალისწინებული იურიდიული ფაქტების შედეგად წარმოშობილი ურთიერთობების დასადასტურებლად, რაც საბოლოოდ წარმოადგენს სამართლის ნორმით გათვალისწინებულ მაკვალიფიცირებელ ელემენტებს, აუცილებელია ისეთი მტკიცებულებების არსებობა, რომლებიც უტყუარად მიუთითებენ ყველა მნიშვნელოვან გარემოებაზე“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 17.10.2014 წლის გადაწყვეტილება, საქმე №ას-872-830-2013).

„ადვოკატი, როგორც პროფესიონალი, კლიენტთან გაფორმებული იურიდიული (საადვოკატო) მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე, ცხადია, კერძოსამართლებრივ ურთიერთობაში სამართლებრივად იბოჭება იმ შეთანხმებით, რომლის ძირითადი პირობების შემთავაზებელი თვითონვეა. კერძო საადვოკატო პრაქტიკის მქონე ადვოკატის პროფესიული დამოუკიდებლობა (სახელმწიფოს ხარჯზე განხორციელებული სავალდებულო დაცვისაგან განსხვავებით) იმასაც მოიცავს, რომ საკუთარი სურვილით დათანხმდეს ან არ დათანხმდეს კონკრეტული კლიენტის საქმეზე მუშაობას, თუმცა, მისი პროფესიული დამოუკიდებლობა და თავისუფლება შემოფარგლულია კანონით და პროფესიული ეთიკის ნორმებით (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 1.2), ხოლო ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი (მუხლი 8.8) ავალდებულებს ადვოკატს, რომ მისი საქმიანობის ანაზღაურების გამოთვლის წესი და შესაბამისი განაკვეთი წინასწარ იყოს ცნობილი და მისაღები კლიენტისათვის, რაც სსკ-ის 8.3 მუხლით კერძოსამართლებრივი ურთიერთობისას მხარეთა კეთილსინდისიერების პრინციპის გამოხატულებაა პროფესიული ეთიკური ვალდებულების ჭრილში; აღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარეობს დასკვნა, რომ საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების რომელიმე არსებითი პირობის დაუზუსტებლობა, ბუნდოვანება ადვოკატის სამართლებრივი რისკია“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 12.10.2017 წლის გადაწყვეტილება, საქმე №ას-1161-1116-2016, 17.1).

ეთიკის კომისია იზიარებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მითითებულ პრაქტიკას და განმარტავს, რომ ჰონორარის ოდენობის განსაზღვრისა და გაანგარიშების წესის შესახებ კლიენტის ინფორმირებაზე მტკიცების ტვირთი აკისრია ადვოკატს, რომელმაც კომისიას,

დისციპლინური საქმისწარმოების ამ ეტაპზე, სარწმუნო მტკიცების სტანდარტით უნდა დაუსაბუთოს, რომ ფიქსირებული ჰონორარის მიღმა, შეუთანხმდა კლიენტს წარმატების ჰონორარზე (კლიენტის ინფორმირებაზე მტკიცების ტვირთის შესახებ ეთიკის კომისიის შეფასება დამატებით იხ. ამავე გადაწყვეტილების 4.2.1 პარაგრაფში). ადვოკატ ნანა მაისურაძეს ეთიკის კომისიისათვის არ წარმოუდგენია ისეთი მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა მასსა და კლიენტს შორის წარმატების ჰონორარის თაობაზე კლიენტის ინფორმირებულ თანხმობას. შესაბამისად, ეთიკის კომისია ვერ გაიზიარებს ადვოკატ ნანა მაისურაძის პოზიციას, რომლის მიხედვითაც კლიენტს ზეპირად შეუთანხმდა წარმატების ჰონორარის ოდენობაზე, მიღების წესზე და კლიენტთან შეთანხმების შესაბამისად, მოვალისგან მიღებული $4.000 აშშ დოლარი წარმოადგენდა ადვოკატის კუთვნილ ანაზღაურებას, რომელიც ლალი ბოცვაძესთან შეთანხმებისამებრ ადვოკატს არ უნდა გადაეცა კლიენტისათვის. ამის საპირისპიროდ, საქმეში წარმოდგენილია მორიგების აქტი, სადაც მითითებულია, რომ $4.000 აშშ დოლარი ადვოკატს პირად ანგარიშზე ჩაერიცხებოდა, არა როგორც წარმატების ჰონორარი, არამედ, ლალი ბოცვაძისათვის გადაცემის მიზნით.

საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების შეფასებისა და მხარეთა ახსნა-განმარტებების ურთიერთშეჯერების საფუძველზე, ეთიკის კომისიამ დაადგინა, რომ ადვოკატი ნანა მაისურაძე ლალი ბოცვაძეს არ შეთანხმებია წარმატების ჰონორარზე.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- საჩივრის ავტორის ახსნა-განმარტება;
- 2018 წლის 28 მარტის იურიდიული მომსახურების შესახებ N023 ხელშეკრულება (მუხლი 4.1);
- 2021 წლის 28 მაისის მორიგების აქტი;
- 2021 წლის 28 მაისის რუსთავის საქალაქო სასამართლოს განჩინება მხარეთა მორიგების გამო საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ (საქმე N2-1415-19).

5. **შემაჯამებელი დასკვნა**

ეთიკის კომისია გაეცნო საქმის მასალებს, მხარეთა ახსნა-განმარტებებს და გადაწყვიტა, რომ ადვოკატ ნანა მაისურაძის მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

6. **სამართლებრივი შეფასება**

6.1. ეთიკის კომისიის შეფასებით, ადვოკატ ნანა მაისურაძის მიერ დარღვეულია კლიენტის კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად წარმომადგენლობის ვალდებულება, ვინაიდან ადვოკატმა კლიენტს, მისი ინფორმირების გარეშე, გაუწია საადვოკატო მომსახურება სამოქალაქო საქმეში, სპეციალიზაციის გარეშე.

6.2. ეთიკის კომისიამ იმსჯელა ადვოკატის მხრიდან შემდეგი მუხლების დარღვევის თაობაზე:

ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ვალდებულებები (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 5(ა)).

ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, შემდეგში „ეთიკის კოდექსი“, მუხლი 8.5).

ადვოკატი ვალდებულია დროულად მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია და განუმარტოს ყველა შესაძლო ფინანსური ვალდებულება, რომელიც დაკავშირებულია მისი საქმის წარმოებასთან (მუხლი 6.2)

ადვოკატმა კლიენტს, მასთან შეთანხმებული წესით, უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობისა და საქმის წამოების მოსალოდნელი ხარჯების შესახებ (ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.6).

6.3. „ადვოკატმა თავის საქმიანობა უნდა განახორციელოს კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად, რაც გულისხმობს იმ ვალდებულებების ჯეროვნად შესრულებას, რომლებიც მან, როგორც ადვოკატმა, აიღო კლიენტთან შეთანხმებით, მისი საქმის საწარმოებლად“ (ეთიკის კომისიის 22.10.2019 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე N051/19).

6.4. „ხელშეკრულების დადების შემდეგ ადვოკატს წარმოეშობა ვალდებულება, იმოქმედოს კლიენტის სახელითა და მისი ინტერესების გათვალისწინებით რწმუნებულებით განსაზღვრულ ფარგლებში. ადვოკატმა უნდა გამოიყენოს ყველა კანონიერი საშუალება, რათა საქმის წარმოებისას კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უზრუნველყოს კლიენტის ინტერესების დაცვა“ (ეთიკის კომისიის 20.02,2013 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმეN055/21).

6.5. „დაცვის უფლების განხორციელების არაკვალიფიციურობაზე მიუთითებს, როდესაც ადვოკატი საქმიანობას არ ახორციელებს ადვოკატთა ასოციაციის მიერ მინიჭებული კვალიფიკაციის შესაბამისად. ეთიკის კომისია, მხედველობაში იღებს იმ გარემოებას, რომ ადვოკატთა ასოციაცია საქმიანობის განხორციელების უფლებას აძლევს ადვოკატს კონკრეტულ დარგში, წარმოადგინოს კლიენტის ინტერესები შესაბამისი მიმართულებით, ამდენად, რისკი იმისა, რომ ადვოკატი არაკვალიფიციურად დაიცავს კლიენტის უფლებებს და ზიანს მიაყენებს კლიენტის ინტერესებს, ნაკლებია“ (ეთიკის კომისიის 26.08.2011 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე N030/11).

6.6. ადვოკატს, რომელსაც ტესტირება გავლილი აქვს სპეციალიზაციის მიხედვით, საადვოკატო საქმიანობის განხორციელების უფლება ეძლევა შესაბამის დარგში (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 11.8). ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ ადვოკატმა საადვოკატო მომსახურება უნდა განახორციელოს მხოლოდ იმ მიმართულებით, რომელშიც ჩაბარებული აქვს ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა, გააჩნია შესაბამისი გამოცდილება და არის სპეციალიზირებული. ადვოკატისთვის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების ვალდებულებას ადგენს ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი (მუხლი 10.1(ბ)).

6.7. „ადვოკატს ფიცის დადების (განცხადების დაწერის) შემდეგ ეკისრება ვალდებულება, მოიქცეს წინდახედულად, გონივრულ ფარგლებში განსაზღვროს მისი პროფესიისთვის დამახასიათებელი რისკი, გაითვალისწინოს კლიენტის ინტერესები და ობიექტურად შეაფასოს თავისი უფლებამოსილებისა და კვალიფიკაციის თანხვედრა კლიენტის ინტერესებთან და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღოს გადაწყვეტილება საადვოკატო საქმიანობის გაწევასთან დაკავშირებით.

ადვოკატს, როგორც მართლმსაჯულების სისტემის არსებით ნაწილს, მოეთხოვება, საზოგადოების წარმომადგენლებთან ურთიერთობისას გამოიჩინოს გულისხმიერება საკუთარი საქმისადმი, რათა არა მხოლოდ კლიენტის კონკრეტული ინტერესის დაზიანება აიცილოს თავიდან, არამედ - საზოგადოების ნდობის დაკარგვაც ადვოკატთა კორპუსის მიმართ“ (ეთიკის კომისიის 20.02.2013 წლის გადაწყვეტლება, დიაციპლინურ საქმეზე N055/21).

6.8. ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონში (მუხლი 3) მოცემულია საადვოკატო საქმიანობის ის ძირითადი პრინციპები, რომლებითაც უნდა იხელმძღვანელოს ადვოკატმა პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, რომელთაგან ერთ-ერთია ადვოკატის კეთილსინდისიერება, კარგი რეპუტაცია და იურიდიული პროფესიის პატივისცემა (მუხლი 3.დ). ეთიკის კომისიის შეფასებით, ადვოკატის კვალიფიციურობა და კეთილსინდისიერება ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის ცენტრალური ფაქტორია. კლიენტს სჭირდება კეთილსინდისიერი ადვოკატის სპეციალური ცოდნა და უნარები, რამდენადაც თავად არ შეუძლია გაერკვეს რთულ სამართლებრივ საკითხებში. ასევე, დამატებით, ადვოკატთა კეთილსინდისიერება და კვალიფიციურობა აუცილებელი პირობაა ადვოკატთა პროფესიისადმი საზოგადოებრივი ნდობის შენარჩუნებისა და ამაღლებისათვის. ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობების არსებობა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატის პირადი ღირსება, პატიოსნება და შეუვალობა ეჭვგარეშეა. ადვოკატისათვის აღნიშნული ტრადიციული თვისებები პროფესიული ვალდებულებაა (ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსი, მუხლი 2.2).

6.9. ეთიკის კომისიის შეფასებით, ადვოკატის სპეციალიზაციის თაობაზე კლიენტის ინფორმირების ვალდებულების მიზანი არის კლიენტის ინტერესების გათვალისწინება და მისი ჩართულობის უზრუნველყოფა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. ეთიკის კომისიის განმარტებით, ურთიერთობის დაწყებამდე, მნიშვნელოვანია პოტენციური კლიენტი სათანადოდ იყოს ინფორმირებული ადვოკატის სპეციალიზაციის თაობაზე და ისე განაცხადოს თანხმობა ამ კონკრეტული ადვოკატისაგან საადვოკატო მომსახურების მიღებაზე.

6.10. კლიენტისთვის ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის დაწყების მთავარი მიზანი სასურველი სამართლებრივი შედეგის მიღწევაა. შესაბამისად, კლიენტი ცდილობს ურთიერთობა დაიწყოს ისეთ პირთან, რომელსაც აქვს სათანადო კვალიფიკაცია და შესწევს უნარი მისი ინტერესები სათანადოდ წარმოაჩინოს. შესაძლებელია სასურველი შედეგი ყველა შემთხვევაში ვერ დადგეს, მაგრამ ადვოკატი ვალდებულია გამოიყენოს ყველა კანონიერი საშუალება იმისათვის, რომ კლიენტი იყოს დაცული. ეთიკის კომისია აქვე განმარტავს, რომ შესაძლოა სპეციალიზაციის არმქონე ადვოკატმა ისეთი მომსახურება გაუწიოს კლიენტს, რომელიც მისთვის სასურველ შედეგს გამოიღებს, თუმცა ეს არ ათავისუფლებს ადვოკატს დისციპლინური პასუხისმგებლობისაგან, რადგან საადვოკატო საქმიანობის განხორციელებით სამართლის იმ დარგში, რაშიც მას არ აქვს კვალიფიკაცია, ადვოკატი რისკის ქვეშ აყენებს კლიენტის ინტერესებს. კლიენტი სამართლებრივი დახმარებისათვის სწორედ იმიტომ მიდის ადვოკატთან, რომ გააჩნია ნდობა და მოლოდინი, რომ ადვოკატი კვალიფიციურ მომსახურებას გაუწევს, ამ ნდობის გამყარება კი - ადვოკატის პროფესიულ ვალდებულებას წარმოადგენს (ეთიკის კოდექსი, პრეამბულა). შესაბამისად, იმის მიუხედავად, თუ რა შედეგი დადგება ყოველ კონკრეტულ საქმეზე (რაც გასათვალისწინებელი იქნება პასუხისმგებლობის ფორმისა და ზომის

გამოყენებისას), ეთიკის კომისიის შეფასებით, ადვოკატის მხრიდან საადვოკატო მომსახურება სამართლის იმ დარგში, რომელშიც მას არ აქვს სპეციალიზაცია მინიჭებული, წარმოადგენს დისციპინურ გადაცდომას - არაკვალიფიციურ წარმომადგენლობას, რადგან რისკის ქვეშ დგება კლიენტის ინტერესები და ირყევა ადვოკატის პროფესიისადმი საზოგადოებაში არსებული ნდობა.

6.11. ეთიკის კომისიამ დაადგინა, რომ ადვოკატმა ნანა მაისურაძემ კლიენტის ინტერესები წარმოადგინა არაკვალიფიციურად და არაკეთილსინდისიერად, რადგან ლალი ბოცვაძეს საადვოკატო მომსახურება გაუწია სამოქალაქო დავაზე, რომელშიც სპეციალიზაცია არ ჰქონდა, ამით კი რისკის ქვეშ დააყენა კლიენტის ინტერესები (იხ. გადაწყვეტილების 4.2.1 პარაგრაფი). მიუხედავად იმისა, რომ კლიენტისათვის სასარგებლოდ მოგვარდა მისი სამართლებრივი პრობლემა, ადვოკატ ნანა მაისურაძეს არ ჰქონდა უფლება მისი სპეციალიზაციის თაობაზე ლალი ბოცვაძის სათანადო ინფორმირების გარეშე გაეწია მისთვის საადვოკატო მომსახურება სამართლის იმ დარგში, რაშიც მას სპეციალიზაცია არ გააჩნია. ამით, ადვოკატმა ნანა მაისურაძემ რისკის ქვეშ დააყენა მისი კლიენტის - ლალი ბოცვაძის ინტერესები. შესაბამისად, ადვოკატმა ნანა მაისურაძემ დაარღვია კვალიფიციური და კეთილსინდისიერი წარმომადგენლობისა და კლიენტის ინფორმირების ვალდებულება (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლები: 5(ა), 6.2, ეთიკის კოდექსი, მუხლები: 8.5, 8.6).

6.12. ეთიკის კომისიის შეფასებით, ადვოკატმა ნანა მაისურაძემ არ მიაწოდა კლიენტს სწორი ინფორმაცია მისი საქმის მიმდინარეობის თაობაზე, მათ შორის მორიგების აქტის პირობებზე, რომლის თანახმადაც კლიენტის ფულადი სახსრები ადვოკატის პირად ანგარიშზე უნდა ჩარიცხულიყო, რომლის შემდეგაც მოიხსნებოდა ყადაღა მოვალის ქონებაზე; ასევე, ადვოკატმა არ მართა კლიენტის ფულადი სახსრები კეთილსინდისიერად.

ადვოკატმა კეთილსინდისიერად უნდა შეასრულოს პროფესიული ვალდებულებები (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 5(ა)).

ადვოკატი ვალდებულია დროულად მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია მისი საქმის წარმოებასთან (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 6.2.).

ადვოკატმა კლიენტს, მასთან შეთანხმებული წესით, უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობის ... შესახებ (ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.6).

ნებისმიერი ფულადი სახსრები ან ქონება, რომელსაც კლიენტი მიანდობს ადვოკატს უნდა ინახებოდეს დამოუკიდებლად ადვოკატის პირადი ფულადი სახსრების ან ქონებისაგან და იმართებოდეს კეთილსინდისიერად (ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.13).

კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას, ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ფულადი სახსრები, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან, რომელიც ადვოკატმა სასამართლოსგან, სხვა ორგანოსაგან ან პირისგან მიიღო საქმის წარმოების პროცესში (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.15).

6.13. „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი ავალდებულებს ადვოკატს უზრუნველყოს კლიენტის ინფორმირება, რადგან კლიენტს მიეცეს შესაძლებლობა სრული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე მიიღოს გადაწყვეტილება იურიდიული მომსახურების მიღების თაობაზე“ (ეთიკის კომისიის, 13.11.2018 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე N125/18). „მიუხედავად ზოგადი დანაწესისა, რომ მტკიცების ტვირთი აკისრია საჩივრის ავტორს, ინფორმირების ვალდებულების ჯეროვანი შესრულების თაობაზე მტკიცების ტვირთი ადვოკატზე გადადის“ (ეთიკის კომისიის 15.07.2019 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე N141/18).

6.14. „ადვოკატმა არ უნდა დაუშვას იმ ფულადი სახსრების დაყოვნება, რაიმე სახით საკუთარ ანგარიშზე თუ პირად სალაროში შენახვა, რომელიც არ წარმოადგენს ადვოკატის ქონებას. კლიენტის მიერ ფულადი თანხის მინდობა ადვოკატისათვის, ამ უკანასკნელისათვის წარმოშობს ვალდებულებას, მინდობილი თანხა კლიენტის მითითებისამებრ, კონკრეტული დანიშნულებით გამოიყენოს. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტის მიერ მინდობილი თანხის გამოყენება აღარ არის საჭირო, მნიშვნელობა არ აქვს სუბიექტური თუ ობიექტური საფუძვლის გამო, ადვოკატს პროფესიული ეთიკური ვალდებულებიდან გამომდინარე, კეთილსინდისიერი წარმომადგენლობის ფარგლებში, ეკისრება პასუხისმგებლობა შეძლებისდაგვარად უმოკლეს დროში აცნობოს კლიენტს თანხის დაბრუნების შესახებ და პირველი შესაძლებლობისთანავე, ყოველგვარი დაყოვნებისა და კლიენტთან შეთანხმების გარეშე, მინდობილი ქონების სხვა ქმედების განსახორციელებლად გადამისამართების არიდებით, უკლებლივ დაუბრუნოს კლიენტს ამ უკანასკნელის კუთვნილი თანხა, თუ სხვა ქონება. ეთიკური ვალდებულებების დაცვა ემსახურება კლიენტის საუკეთესო ინტერესებს და ადვოკატის პროფესიულ სახეს, რომელიც თავისი ქმედებებით პატივისცემას უნდა აღძრავდეს კლიენტში და განამტკიცებდეს ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობას“ (ეთიკის კომისიის 02.07.2012 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე N003/12).

6.15. „....კლიენტის მიერ ადვოკატისათვის ფულადი სახსრების მართვის მინდობისას, კლიენტის ნდობა ეფუძნება არა მხოლოდ ადვოკატის პირად თვისებებს, არამედ მისი ადვოკატის პროფესიისადმი კუთვნილებას, რაც ადვოკატის მიერ უნდა იქნეს გამართლებული. ადვოკატის მიერ კლიენტისაგან მინდობილი ფულადი სახსრების პირადი მიზნებისთვის გამოყენება წარმოადგენს ადვოკატის მიერ როგორც კლიენტის პირადი ნდობის, ასევე პროფესიული ფიდუციული ვალდებულებების დარღვევას“ (ეთიკის კომისიის 19.12.2016 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე N044/16).

6.16. ეთიკის კომისიამ დაადგინა, რომ ადვოკატმა ნანა მაისურაძემ კლიენტს არ მიაწოდა ინფორმაცია მორიგების პირობებისა და მინდობილი თანხების განკარგვის თაობაზე, რომლის თანახმადაც კლიენტის კუთვნილი თანხები ადვოკატის პირად ანგარიშებზე უნდა ჩარიცხულიყო. ადვოკატმა ასევე არ აცნობა კლიენტს მისთვის გადასაცემად მიღებული თანხის ზუსტი ოდენობა და სააღსრულებო ბიუროში დაწერილი განცხადების შინაარსი, რომელიც არსებითად უკავშირდებოდა კლიენტის საქმის შედეგს (ადვოკატი თანხმობას აცხადებდა მისი კლიენტის სასარგებლოდ არსებული უზრუნველყოფის გაუქმებაზე და ამცირებდა მოთხოვნას). ეთიკის კომისია ვერ გაიზიარებს ადვოკატის არგუმენტს, რომ კლიენტისათვის გადასაცემად აღებული

თანხიდან - $21.000 აშშ დოლარიდან, $4.000 აშშ დოლარი მისი წარმატების ჰონორარს წარმოადგენდა და არ უნდა დაებრუნებინა უკან კლიენტისათვის, რადგან წარმატების ჰონორარის თაობაზე შეთანხმების არსებობა ადვოკატმა ვერ დაადასტურა (იხ. გადაწყვეტილების 4.2.2 პუქტი). ადვოკატ ნანა მაისურაძეს ეთიკის კომისიაში არ წარმოუდგენია ისეთი მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა, რომ კლიენტს ამომწურავი და ზუსტი ინფორმაცია მიაწოდა წარმატების ჰონორარის ოდენობაზე, გამოთვლის წესსა და გადახდის ფორმაზე. შესაბამისად, არ დგინდება, რომ ადვოკატის მიერ დატოვებული ფულადი სახსრები, კლიენტთან შეთანხმების შესაბამისად წარმოადგენდა წარმატების ჰონორარს. ამის საპირისპიროდ, საქმეში წარმოდგენილია მოპასუხე ადვოკატის მიერ კლიენტის სახელით გაფორმებული მორიგების აქტი, სადაც გარკვევით არის მითითებული, რომ ეს თანხები ($4.000 აშშ დოლარი და $17.000 აშშ დოლარი, ჯამში $21.000 აშშ დოლარი) ადვოკატის პირად ანგარიშზე უნდა ჩაირიცხულიყო მისი კლიენტისათვის - ლალი ბოცვაძისათვის გადასაცემად. ამ ფაქტიდანაც ირკვევა თანხის მიღების მიზნობრიობა და კიდევ ერთხელ მტკიცდება, რომ ეს მინდობილი თანხები იყო, რომელიც კლიენტს ეკუთვნოდა. გამომდინარე აქედან, ადვოკატის მიერ მოვალე ელენე კორაშვილისაგან მიღებული თანხა - $4.000 აშშ დოლარი ფასდება მინდობილ ფულად თანხად, რომელზედაც საკუთრების უფლება კლიენტს გააჩნია. ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ადვოკატს ეკისრება ვალდებულება განსაკუთრებული გულისხმიერება გამოიჩინოს კლიენტის მიერ მინდობილი ფულადი სახსრების მართვასთან დაკავშირებით, რაც გულისხმობს მინდობილი ქონების კეთილსინდისიერად, კლიენტის ინტერესების შესაბამისდ, კლიენტისათვის მატერიალური ზიანის მიყენების გარეშე განკარგვას. შესაბამისდ, ადვოკატ ნანა მაისურაძეს, ლალი ბოცვაძესთან ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის დასრულების შემდეგ წარმოეშვა ვალდებულება, არაგონივრული დაყოვნების გარეშე, კლიენტისათვის დაებრუნებინა მიღებული ფულადი სახსრები.

6.17. შესაბამისად, ეთიკის კომისიის შეფასებით, ადვოკატმა ნანა მაისურაძემ დაარღვია კლიენტის ინფორმირების, კვალიფიციური და კეთილსინდისიერი წარმომადგენლობის, კლიენტის ფულადი სახსრების კეთილსინდისიერი მართვისა და მინდობილი თანხების კლიენტისათვის დაბრუნების ეთიკური ვალდებულებები, რადგან ადვოკატმა კლიენტის ინფორმირების გარეშე გაუწია მას საადვოკატო მომსახურება სამოქალაქო დავაზე, როდესაც ადვოკატს მხოლოდ სისხლის სამართალში აქვს სპეციალიზაცია; არ მიაწოდა კლიენტს ინფორმაცია მისი საქმის მიმდინარეობის თაობაზე და თავად მიიღო გადაწყვეტილება ისეთ საკთხებზე, რომელიც არსებითად უკავშირდებოდა კლიენტის საქმის შედეგს; არ მართა კლიენტის ფულადი სახსრები კეთილსინდისიერად - კლიენტის ინფორმირებული თანხმობის გარეშე ჩაირიცხა ეს თანხები პირად ანგარიშზე და არ დაუბრუნა კლიენტს მისთვის გადასაცემად მესამე პირისაგან მიღებული ფულადი სახსრები (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლები: 5(ა), 6.2, ეთიკის კოდექსი, მუხლები: 8.5, 8.6, 8.13, 8.15). ამდენად, არსებობს ადვოკატ ნანა მაისურაძისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების კანონით (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 32.1) გათვალისწინებული საფუძველი.

6.18. ჩადენილი დისციპლინური გადაცდომის ხასიათიდან და სიმძიმიდან გამომდინარე, ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებით, ადვოკატს უნდა დაეკისროს დისციპლინური სახდელი - საადვოკატო საქმიანობის უფლების ჩამორთმევა 6 (ექვსი) თვის ვადით.

ადვოკატს დისციპლინური პასუხისმგებლობა დაეკისრება ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 5 - 9 მუხლებით გათვალისწინებულ მოვალეობათა შეუსრულებლობისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის დარღვევისათვის (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 32.1).

ადვოკატის დისციპლინური სახდელის ერთ-ერთი სახეა - საადვოკატო საქმიანობის უფლების ჩამორთმევა ექვსი თვიდან - სამ წლამდე ვადით (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 34.1(ბ)).

6.19. „სახდელის დანიშვნის დროს ეთიკის კომისიის მიერ მხედველობაში მიიღება ის ზოგადი წესები, რომლებიც განაპირობებს სამართლიანი სახდელის დაკისრებას, პირის დასჯას მის მიერ ჩადენილი ქმედების თანაზომიერად. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია ჩადენილი გადაცდომის ხასიათის, დამრღვევის პიროვნების, გადაცდომის სიმძიმის, შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების მხედველობაში მიღებით, რაც სახდელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის გატარების აუცილებელი პირობათაგანია“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 2017 წლის 22 მაისის გადაწყვეტილება, საქმე #დს-შ/3-17).

6.20. „ადვოკატის მიერ ჩადენილ დისციპლინურ გადაცდომასთან შეფარდებული სახდელის პროპორციულობის განხილვისას ეთიკის კომისიამ უნდა გაითვალისწინოს ადვოკატის მიერ ჩადენილი გადაცდომის სახე, სიმძიმე, პროფესიისათვის მიყენებული ზიანი, კლიენტისათვის მიყენებული ზიანი, ადვოკატის პიროვნება, მისი რეპუტაცია, ადვოკატის მიერ ადრე ჩადენილი გადაცდომები, რომლებიც არ არის გაქარწყლებული, ადვოკატის დამოკიდებულება ჩადენილი ქმედების მიმართ, არაეთიკური ქცევის თაობაზე ადვოკატის ადეკვატური აღქმა და სხვა გარემოებები, რომელიც მნიშვნელოვანია ეთიკის კოდექსის ძირითადი მიზნის მისაღწევად“ (ეთიკის კომისიის 2018 წლის 31 მაისის გადაწყვეტილება, საქმე N098/17).

6.21. ადვოკატმა ნანა მაისურაძემ ლალი ბოცვაძის საქმეზე განახორციელა საპროცესო მოქმედებები და კლიენტის ინტერესებს წარმოადგენდა პირველი ინსტანციის სასამართლოსა და აღსრულების ეროვნულ ბიუროში. თუმცა, ადვოკატი ნანა მაისურაძე კლიენტს სპეციალიზაციის გარეშე უწევდა მომსახურებას სამოქალაქო საქმეზე; ადვოკატმა არ მიაწოდა ზუსტი ინფორმაცია საჩივრის ავტორს წარმატების ჰონორარის გამოთვლის წესისა და ოდენობისა შესახებ და არ განუმარტა მას ყველა შესაძლო ფინანსური ვალდებულება; ადვოკატმა არ დაუბრუნა კლიენტს საქმის წარმოების პროცესში მიღებული ფულადი თანხები. აღნიშნული ფიდუციური ვალდებულებების დარღვევა მძიმეა თავისი შინაარსით, რადგან იწვევს უნდობლობას არა მხოლოდ კონკრეტული ადვოკატის, არამედ ზოგადად - ადვოკატის პროფესიის მიმართ. ეთიკის კომისიის შეფასებით, ეთიკური სტანდარტების არსებობის ძირითადი მიზანი არის ადვოკატის პროფესიის დაცვა და იმ ნდობის გაღრმავება, რომელიც არსებობს საზოგადოებასა და მართლმსაჯულების სისტემაში. ადვოკატს, როგორც საზოგადოებრივ ოფიცერს, უმნიშვნელოვანესი როლი აკისრია როგორც კონკრეტული კლიენტის წინაშე, ასევე

საზოგადოების, მართლმსაჯულებისა და ადვოკატის პროფესიის წინაშე. ამდენად, მნიშვნელოვანია ადვოკატმა კეთილსინდისიერად იმოქმედოს საადვოკატო საქმიანობის განხორციელებისას, არ დააყენოს კლიენტის ინტერესები რისკის ქვეშ, თავისი ქმედებებით არ მიაყენოს ზიანი კლიენტს და განსაკუთრებით - ადვოკატის პროფესიულ რეპუტაციას. კლიენტის ფულადი სახსრების არაკეთილსინდისიერი მართვით - მითვისებით, მნიშვნელოვანი ზიანი ადგება კლიენტს და ადვოკატის პროფესიულ იმიჯს.

6.22. დისციპლინური სახდელის შეფარდებისას ეთიკის კომისიამ გაითვალისწინა აღნიშნულ საქმეში არსებული პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებები: ადვოკატის პირადი დამოკიდებულება და სინანული; ადვოკატის პოზიცია, რომლიც მიხედვითაც ის იაზრებს მის მიერ დაშვებულ გადაცდომას და პირობას დებს, რომ საადვოკატო საქმიანობის განხორციელებისას ყველა დეტალს ზედმიწევნით მოაწესრიგებს ხელშეკრულებით; ადვოკატის მზადყოფნა, რომ ის თანხმობას გამოთქვამს კლიენტთან მორიგებასა და თანხის დაბრუნებაზე; ფაქტი, რომ ადვოკატი არ არის დისციპლინირებული და გადაწყვეტილების გამოტანის დროისათვის, ადვოკატს არ აქვს შეფარდებული სხვა დისციპლინური სახდელი, რის გამოც ეთიკის კომისიის შეფასებით, არ არსებობს ადვოკატ ნანა მაისურაძისათვისა საადვოკატო საქმიანობის უფლების შეწყვეტის საფუძველი, თუმცა გადაცდომათა განსაკუთრებული სიმძიმისა და სიმრავლის გათვალისწინებით, ეთიკის კომისიის შეფასებით, უფრო მსუბუქი დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმები (გაფრთხილება და/ან კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა) ვერ უზრუნველყოფს აღნიშნული გადაცდომების პრევენციასა და დისციპლინირების სრულყოფილი მიზნის მიღწევას. შესაბამისად, ეთიკის კომისიის შეფასებით, ადვოკატ ნანა მაისურაძეს უნდა დაეკისროს დისციპლინური სახდელი - საადვოკატო საქმიანობის უფლების ჩამორთმევა 6 (ექვსი) თვის ვადით, რაც წარმოადგენს ადვოკატის მიერ ჩადენილი გადაცდომების მიმართ პროპორციულ და თანაზომიერ სახდელს.

6.23. ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 32.1, 34.1 მუხლებით, ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 19, 39 და 40 მუხლებით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №076/21 დადგინდეს ადვოკატ ნანა მაისურაძის მხრიდან დისციპლინური გადაცდომის ჩადენა.
2. ადვოკატ ნანა მაისურაძის მიმართ /სიითი №2808/ დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვროს სახდელი - საადვოკატო საქმიანობის უფლების ჩამორთმევა 6 (ექვსი) თვის ვადით.
3. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოთ მხარეებს.

4. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება ადვოკატის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს უზენაეს სასამართლოში, დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიაში საჩივრის წარდგენის გზით.

კომისიის თავმჯდომარე: /კონსტანტინე გელაშვილი/

კომისიის წევრი: /ეკატერინე გეწაძე/

კომისიის წევრი /ეკატერინე მაჭარაშვილი/

კომისიის წევრი: /მარიკა არევაძე/

კომისიის წევრი: /მარინე ცუცქირიძე/

კომისიის წევრი: /ინგა ნებიერიძე/

კომისიის წევრი: /ანა კოტეტიშვილი/

კომისიის წევრი: /ოთარ კაჭკაჭაშვილი/

კომისიის წევრი: /ინგა ბერიძე/

კომისიის წევრი:	/ანა ხურციძე/
კომისიის წევრი:	/ანა ლორია/
კომისიის წევრი:	/ზესიკ ქარცივაძე/
კომისიის წევრი:	/ნათია ჩიტაშვილი/